დანართი №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

დებულება

„მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ქუთაისის ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების სამკერდე ნიშნით **„ამაგდარი“** დასაჯილდოებელ კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების, დროებითი კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი“-ს შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ღვაწლმოსილი (ამაგდარი) და წარმატებული პედაგოგების სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“დაჯილდოების წესსა და პირობებს. აგრეთვე მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.

1.2 კონკურსის მიზანი - ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების გამოვლენა, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქუთაისის განათლების სფეროს განვითარებაში და მათი დაჯილდოება სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“.

1.3 კონკურსის ამოცანები:

ა. მასწავლებლის შრომის დაფასება;

ბ. მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება;

გ. განათლების სფეროს ამაგდარი მუშაკების დაჯილდოება;

დ.ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა დამმართველობის ორგანოების დაახლოება პედაგოგებთან.

1.4 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისის განათლების სფეროს მუშაკებს: საჯარო სკოლის პედაგოგებს, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პედაგოგებს, დირექტორებს, დირექტორის მოადგილეებს; პენსიაზე მყოფ (არამოქმედ) პედაგოგებს და პენსიაზე მყოფ (არამოქმედ) განათლების სფეროს სხვა ღვაწლმოსილ მუშაკებს.

2. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

2.1 კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

2.2 განაცხადის მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება.

2.3 განაცხადების მიღების ვადას განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება

2.4 სამკერდე ნიშანზე „ამაგდარი“ წარდგენის უფლება აქვთ - საჯარო სკოლის დირექტორებს, სამეურვეო საბჭოებს, განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საგანმანათლო რესურსცენტრს. რომლებიც ავსებენ დადგენილი ნიმუშის სააპლიკაციო ფორმას;

3. სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებელთა შეფასების კრიტერიუმები

3.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის /დირექტორის მოადგილეს შეფასების კრიტერიუმები:

3.1.1 პედაგოგიური მოღვაწეობის 20 წლიანი და ხელმძღვანელად მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება;

3.1.2 სკოლის განვითარებაზე ზრუნვა (უშუალოდ მისი ინიციატივით რაც განხორციელდა);

3.1.3 სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

3.1.4 თვითგანვითარებაზე ზრუნვა;

3.1.5 არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

3.1.6 თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და წახალისების სისტემის დანერგვა;

3.1.7 რესურსების ეფექტიანი მართვა.

3.2 საჯარო სკოლის მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები:

3.2.1 არის წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსის მქონე,

3.2.2 აქვს პედაგოგად მუშაობის არა უმცირეს 20 წლიანი გამოცდილება;

3.2.3 საერთაშორისო და/ან მასწავლებლის ეროვნულ კონფერენციებში გამარჯვებული;

3.2.4 მისი მოსწავლეები არიან გამარჯვებულები ეროვნულ (დასკვნითი ტური) ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებში ან კონფერენციებში;

3.2.5 არაფორმალური განათლების გამოყენება პედაგოგიურ საქმიანობაში

3.2.6 თვითგანვითარებაზე ზრუნვა;

3.2.7 კოლეგებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

3.3 პენსიაზე მყოფი არამოქმედი მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები:

3.3.1 აქვთ პედაგოგიური მოღვაწეობის (ან მასთან გათანაბრებული) არანაკლებ 25 წლიანი გამოცდილება ;

3.3.2 აქვთ განსაკუთრებული მიღწევები საქმიანობაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;

3.3.3 სარგებლობენ პედაგოგიურ საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით.

3.4. პენსიაზე მყოფი (არამოქმედი) დირექტორების/დირექტორის მოადილეების შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება ამ მუხლის 3.1 და 3.3.3 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებით, გარდა 3.1.1

3.4.1 აქვთ პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ 10 წლიანი და დირექტორად/მოადგილედ მუშაობის სულ მცირე 15 წლიანი გამოცდილება

4 . სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“დროებითი კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი

4.1.1ქუთაისის განათლების სფეროს მუშაკების სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“ დასაჯილდოებლად წარდგენილ კანდიდატთა დოკუმენტაციის განხილვის მიზნით იქმნება დროებითი კომისია.

4.1.2 დროებითი კომისია შედგება 7 (შვიდი) წევრისგან. კომისიის ფორმირება ხდება: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ერთ-ერთი მოადგილის (კომისიის თავმჯდომარე); ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების თანამშრომლებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. დროებითი კომისიის წევრებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით.

4.1.3 დროებით კომისიას უფლებამოსილება უწყდება კანდიდატების შერჩევის შემდეგ.

4.2 დროებითი კომისიის ფუნქციები:

დროებითი კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

4.2.1 განიხილავს ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ სააპლიკაციო ფორმებს; დასაჯილდოებლად წარმოდგენილი კანდიდატების დოკუმენტებს, მათ შესაბამისობას წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან;

4.2.3 „მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“დაჯილდოების დებულების შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში აღძრავს შუამდგომლობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

4.2.4 უარს ამბობს ქალაქის მერის წინაშე შუამდგომლობის არდგენაზე თუ დასაჯილდოებლად წარდგენილი კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

4.3 კომისიის უფლებები

კომისიას თავისი ფუნქციების განსახორციელებლად უფლებაა აქვს:

4.3.1 გამოითხოვოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებიდან და დასაჯილდოებელი კანდიდატის წარდგენის უფლების მქონე პირებიდან აუცილებელი მასალები და დოკუმენტაცია; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კანდიდატის წარმდგენი დაწესებულების ხელმძღვანელი;

4.3.2. განიხილოს დაჯილდოებასთან დაკავშირებული წინადადებები და საჩივრები;

4.3.3 მასალების არასრულად და არადროულად წარმოდგენის შემთხვევაში არ განიხილოს წარდგენილი კანდიდატურა.

4.4 დროებითი კომისიის მუშაობის ორგანიზაცია:

4.4.1 კომისიის სხდომა იმართება კომისიის თავმჯდომარის მოწვევით;

4.4.2 კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე - მერის ერთ-ერთი მოადგილე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე;

4.4.3 კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

4.4.4 კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

4.4.5 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით. მას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები;

4.4.6 კომისიის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი;

4.4.7 თუ დასაჯილდოებლად წარდგენილია კომისიის წევრი, ან მისი ნათესავი, კომისიის წევრი არ მონაწილეობს კენჭისყრაში;

4.4.8 კომისიის მუშაობის საქმისწარმოებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება. ოქმები და მასალები ინახება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებაში;

4.4.9 კომისიის სხდომის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

5. დაჯილდოება

შერჩეულ პირთა დაჯილდოება ხდება სამკერდე ნიშნით „ამაგდარი“, მოწმობით და ფულადი ჯილდოთი.

6. სამკერდე ნიშნის გადაცემის წესი

6.1 დასაჯილდოებელ პირს სამკერდე ნიშანს გადასცემს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

6.2 სამკერდე ნიშნის და მოწმობის გადაცემა მოხდება პირადად, საზეიმო ვითარებაში.

6.3 ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სამკერდე ნიშნით ჯილდოვდება არაუმეტეს 5 (ხუთი) პირი.

6.4 ერთი და იგივე პირი არ შეიძლება დაჯილდოვდეს სამკერდე ნიშნით ორჯერ.

7. სამკერდე ნიშნის გაცემის პროცედურა

7.1 თითოეული კანდიდატის შეფასებას და ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მერის ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისია.

7.2 დროებითი კომისია გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქის მერს.

7.3 სამკერდე ნიშნის გაცემა ფორმდება ქალაქის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

8. დაკარგვის, ან დაზიანების შემთხვევაში დაჯილდოებულ პირს სამკერდე ნიშანი განმეორებით არ გადაეცემა.